

რედაქცია

გალაქინას პრინციპალის თხოვნით, ა. გ. მუსხისხის ხელმძღვანელობით.


ხელის-მოწერა

მიიღება თუთიისში, დროკაბა, ივერიის რედაქციაში, ქუთაისში, „დროკაბა“ ან „ივერია“ ან კუთხისა. თან სილაზე, გარეშე მცხოვრებთათვის: В Тифлисе, въ редакцію „Дროаба“ и „Иверія“.

„დროკაბა“-„ივერიის“ უახლესი

წელიწადში 6 თვეს 3 თვეს

დროკაბა და ივერია ერთად 14 მან. . . 8 მ. . . 5 მ. . .  
„დროკაბა“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . . 3 მ.  
„ივერია“ . . . . . 7 მან. . . 4 მ. . . 2 მ.



გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

უახლესი განცხადებისა

დღის ასობით ასობით... მთავრდება ასობით... თუ საქართვების მოთხოვნა, რედაქცია განსწორებს და შეამოწმებს დასაბუთებულ გამოცხადებებს... განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ. ქუთაისში განცხადება მიიღება „დროკაბა“ „ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროკაბისა“ ღირს 5 კაპ.

პირველის აპრილიდან წლის დამლევადინ

დროკა

ღირს შვიდი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თუთიისში: რედაქციაში (გალაქინას პრინციპალის, თ. გ. მუსხისხის ხელმძღვანელობით), ქუთაისში — აგენტთან ბ. ილია ჭყონისხისთან (სილაზე, მიიღება ჭყონისხის ხელში). ქადაგის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисе. Редакция „Дроаба“.

ავადმოგიურ ჟურნალზე.

ტფილისი, 6 აპრილს.

მანკი თვალ-ყურს ადევნებს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს, იმას კარგათ ეცოდინება რა საჩივრები ისმის ყოველმხრიდან. მართი უჩივის სკოლებს, მეორე ადგილობრივ ადმინისტრაციას, მესამე სასულიერო წოდებას, მეოთხე სასამართლოებს და სხვ. მართი სიტყვით, არ დაჩინილა არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებაში, რომელიც არ იყოს გაკიცხული.

საუბედუროთ, ყველა ეს კიცხვა გამოდის საფუძვლიანი; ყველა საჩივარს მოსდევს იმდენი ფაქტები, რომ ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება არ ვერწმუნოთ.

რა არის მიზეზი ამდენი საჩივრებისა, საიდან წარმოდგება ის სამწუხარო ფაქტი, რომ ჩვენს ხალხს ვერ აკმაყოფილებენ ვერც ადგილობრივი მთავრობა, ვერც სასულიერო წოდება, ვერც სასამართლოები და ვერც სკოლები? დამნაშავეა აქ თითონ ხალხი, თუ ყველა ის დაწესებანი, რომელთაც აქვთ მიზნათ ხალხის ნიეთიერა და ზნეობითი ამაღლება? ამ საგანზე მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა.

ადამიანი, აღტურვილია გაუმჯობესობის წარმატების ნიჭით. ამ ნიჭს არ არის მოკლებული არცერთი სალი ადამიანი. ამ ნიჭიერებას გარდა ყველა ადამიანს მინიჭებული აქვს კერძო თვისებანი, რომლებიც არიან ნაყოფი გარე მოკლულ ბუნებისა, რომელსაც ჰქონდა ზედ-მოქმედება, გავლენა ამ ადამიანის გაჩენაზე და ზრდაზე.

რადგანაც ქვეყანაზე ბუნება ყოველგან ერთგვარი არ არის, იმიტომაც სხვა-და-სხვა ალაგას სცხოვრებენ სხვა-და-სხვა თვისების ხალხები. მაგალითათ: ბარის ხალხი, რომელიც სცხოვრობს სწორე ადგალზედ, უფრო

მისდევს მიწის შემუშავებას. ამ საქმისთვის საჭიროა სიმშვიდე, მოთმინება, შრომა და იმიტომაც ბარის ხალხი განირჩევა ყველა ამ თვისებით.

მთის ხალხი მიწას ვერ შემუშავებს — ნიადაგი ნებას არ აძლევს. იმას უნდა ჰყავდეს საქონელი, უნდა იწავლიროს, ზოგჯერ იავაზაკოს, და ისე იცხოვროს. ამ საქმეებისთვის საჭიროა: სიმამაცე, ფიზიკური ძალა, დაუდგრომლობა და ყველა ამითი განირჩევა კიდევ მთის ხალხი.

მთის სიტყვით, ყოველი ადამიანი აღტურვილია ორ გვარი თვისებით: საერთო კაცობრივის და კერძო პიროვნებისით.

შველა ეს იტქმის, როგორც ერთ ადამიანზე, ვგრეთვე მთელ საზოგადოებაზე. ავიღოთ მაგალითათ ფრანკლები: ამ ხალხს აქვს, გარდა იმისა, რაც შეადგენს ყველა ადამიანის აუცილებელ თვისებას, მინიჭებული თვისის საკუთარი თვისებანი, თვისებანი რომელნიც ხოლო ფრანკლებს ეკუთვნიან და სხვას არაა.

თუ გინდა ვიმოქმედოთ ხალხზედ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ეს ორთავ თვისება. უმისოთ ჩვენ ვერ ვიქონიებთ მახედ სრულ ზედ-მოქმედებას.

აბა ამ ჭეშმარიტების მხრით შევხედოთ ჩვენ ცხოვრებას. რას ეხედავთ? არც ერთ ჩვენ საკუთარ კერძო თვისებას არა აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება. ჩვენი სამსჯავრო კანონმდებლობა არის დაფუძნებული საერთო კაცობრიობის თვისებაზედ და ზოგიც რუსის ხალხის ხასიათის თვისებაზედ; მაგრამ ჩვენი ხალხის თვისება კი დაიწვეებულია; იგივე ეტყობა ადმინისტრაციულ მართვას; იგივე მძიმე ლოდან აწევს სასულიერო წოდების ალზას; იმავე უღლის ქვეშ იჭყლიტება ჩვენი სკოლა, რომელზედაც საკუთრივ მინდა აქ ლაპარაკი.

ჩვენი სკოლა იმყოფება განსაკუთრებულ მდგომარეობაში, იმიტომ იგი მოითხოვს განსაკუთრებულ კანონმდებლობას. ჩვენი სკოლებისთვის არ გამოდგებიან არც ბერძნის, არც ინგლისის სკოლების წესები. იქ ის წესები დაფუძნებული არიან ხალხის ხასიათის თვისებაზედ, ხალხის ცხოვრების მოთხოვნილებაზედ; ჩვენში ჩვენი სკოლების წესები უნდა იყენებ დაფუძნებული ჩვენი ხალხის თვისებაზედ, ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებაზედ.

მინ უნდა შეადგინოს ეს წესები თუ არ იმათ, ვინც უფრო ახლო

დგას ამ საქმესთან, ე. ი. მასწავლებლებმა? მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენი მასწავლებლები ამისთვის თავს არ იტყებიან. ჩვენი სკოლების წესებს იკვლევენ პეტერბურგში, სამეცნიერო კაბინეტებში და ამ გამოკვლევისთვის სარგებლობენ ოფიციალური ქალაქებით, რომლებშიაც ათასში ერთს არ უნდა უჯერებდეთ. მაგრამ გასაკვირველია, რომ ჩვენი სკოლებისთვის შეადგინონ შეუსაბამი კანონები? მასწავლებლები ზნეობით ვალდებული არიან მოუმზადონ უმაღლეს მთავრობას მასალა სკოლების კანონმდებლობის შესადგენათ. ამ მასალის მომზადება ერთს კაცს ვერ შეუძლიან, არამედ უნდა იშრომონ ყველა მასწავლებლებმა ერთად და ამ შრომის ასპარეზით უნდა იყოს პედაგოგიური ჟურნალი.

წინათვე არ შემძლიან დაწერილობით ავიწეროთ პროგრამა ამ პედაგოგიური ჟურნალისა, — ეს იქნება დამოკიდებული იმ გარემოებაზედ, რა გარემოებაშია დაარსდება იგი; მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ის მომავალი ჟურნალი უნდა მისდევდეს მხოლოდ მეცნიერებას და არა იმ დაფარულ ზრებს, რომლების ტანსაცმელ მსხვერპლათ სწირავენ ჭეშმარიტების ცნებას ზოგიერთი ცრუ-პედაგოგები...

მე არ ვიტყვი, რომ მომავლის ჟურნალისას არც ნიეთიერათ იქნება დაჩაგრული. შოველი სასწავლებელი ძავეკასიაში უთუოთ გამოიწერს ამ ჟურნალს. იანგარიშით რამდენი სასწავლებელია ძავეკასიაში, და დაინახეთ, რამდენი ეგზემპლარი გასალდება ამ გამოცემაში.

არც თანამშრომლები ეყოლება ცოტა. თუ ეხლა ჩვენი მასწავლებლები არ იღებენ მონაწილეობას რუსეთის პედაგოგიურ ჟურნალში — ეგ უნდა მივაწეროთ, ამ ჟურნალის რედაქციების სიშორეს. სოფლის და ქალაქის მასწავლებლები გადმოსცემენ რედაქციას ბევრ მასალას, რომელიც, მართალია, შეიძლება არ იქნეს ლიტერატურულათ შემუშავებული, მაგრამ ეს დიდი უბედურობა არ არის. რამდენჯერ აღძრულა ჩვენში პედაგოგიურ საგნებზე სჯა და ყოველთვის ამ საგნებს იკვლევდნენ და ეხლაც იკვლევენ იმისთანა ხალხი, რომელსაც სწავლიათ არა აქვს შესწავლილი სკოლა და პედაგოგია. ისინი კი, ვისაც პირ-და-პირ შეეხება ეს საქმე, ის ხალხი კი ჩუმით არის.

ამ ჟურნალმა უნდა გამოაშუქარავოს და გამოიკლიოს ის მიზეზები, რომელნიც აბრკოლებდნენ და ეხლაც

აბრკოლებდნენ ჩვენში სწავლა-განათლებას. შურნალმა უნდა გვიჩვენოს, რა ადგილი უნდა ექიროს დედა-ენას სწავლების სისტემაში. შურნალმა უნდა გამოიკლიოს, როგორ უყურებს ხალხი სკოლას და რას მოელის იმისგან. შურნალმა უნდა შეიმუშაოს სწავლების მეთოდები; ყურადღება უნდა მიექციოს მასწავლებლების მომზადებას.

როდესაც ეს ჟურნალი დაარსდება, როდესაც ჩვენი სკოლების საქმეებს გაეარჩევთ ჩვენე, როდესაც გამოვიკვლიეთ დედა-ენის მნიშვნელობას პირველ-დაწყებით სწავლაში, — მაშინ შეგვეძლება ვსთქვათ, რომ ჩვენ სკოლებს დაუდგათ ახალი დროების ხანა.

რ. ჯაჭანაშვილი.

ახალი ამბები.

ზუშინ, კვირა საღამოს, ბ-მა აკაკი წერეთელმა წაიკითხა თავის მესამე და უკანასკნელი ლექცია. ლექტორმა ეს უკანასკნელი ლექცია „მეფხვის ტყარისა“ ქალებზედ ილაპარაკა. მოკლედ სთქვა — თუ საზოგადოთ ქალებს რა მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოს წარსულ ისტორიულ ცხოვრებაში.

მეითონ რუსთველის ქალების გმირების შესახებ: ნესტან - ღარეჯანი ქართლელი ქალი არისო, მინათინ — იმერელი და ასმათ — შავ-ზღვის-პირელიო.

თავის ლექციები თ. აკაკი წერეთელმა გაათავა მადლობით იმ მსმენელებისადმი, რომელნიც ასე ყურადღებით ისმენდნენ ჩემ ლექციებსაო.

ხანგრძლივი ტაში უძღვნეს ლექტორს და რამდენჯერმე გამოიხმეს. ამას გარდა ლექტორს პიართვეს მშვენიერად გაკეთებული ჩანვი ზედ-წარწერითა და დაფნის გვირგვინი.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ზოგიერთი პირები აპირებენ კიდევ ნაალდგომებს ქართულს ენაზედ ლექციების წაკითხვასაო.

ამბობენ, რომ წარმოდგენები თუთიისში ნაალდგომების მესამე თუ მეოთხე დღეს დაიწყებაო.

მართული ტრუპა რამდენსამე ახალ პაესას ამზადებს პირველ წარმოდგენებისათვის.

დღეს, საღამოს შეიდ საათზე, იქ

ნება მეთოთხმეტი სხდომა „მეფის-ტყაოსნის“ რედაქციისა.

შემდეგი სხდომა გადიდება ნაალღომევეამდის.

\* \*

ჭუთაისილამ გეწერენ:

„სამწუხაროა მდგომარეობა მეფი-ლე კლასის ქალების გიმნაზიის მოსწავლე ქალებისა. შრომით რამოდენიმე წელიწადი იმ იმედით, ეგებ ჩვენი შრომით ლუკმა-პური ვიშოვნოთო, მაგრამ ამ შრომამ და იმედმა ფუჭეთ უნდა გაიაროს. შუმეტესი ნაწილი მადგანი ღარიბის შვილები არიან; ერთი-ორი თუ გამოვა შემძლებლის შვილები, რომელნიც სწავლობენ მხოლოდ თავის დასამშვენებლად. მგონებ ნახევარი შემოსავალი ქუთაისის ღარიბ მოსწავლეთ დამხმარებელ საზოგადოებისა ეძლევა ქალების გიმნაზიას და დანარჩენს კი ახმარებენ სხვა სასწავლებლებს. ძერძო შემწეობაც აქვსთ. მანეი სწავლობენ ვაი-ვაგლანით მომავალის იმედით.

„ჭუთაისის საქალებო გიმნაზიას ბევრი ნაკლებულება აქვს. ამ გიმნაზიაში არ არის საკუთარი მოსწავლელები (შტატნი); ამის გამო ხშირად ვხედავთ აქ უნიჭო და უხერო სასწავლებლებს, რომელნიც აქ დაიარებნან, არ შეუძლიანთ წესიერათ აღასრულონ თავიანთი ვალდებულება. ღალატულები და დაქანტულები გიმნაზიის გაკვეთილებით აქ მოდიან კენესით და ოხვრით აძლევენ ვაკვეთილებს.

„შმაფრესი ნაკლებულება ქალების გიმნაზიისა არის, რომ გიმნეზია შესდგება მართო შეიდი კლასისაგან; მერვე სპეციალური კურსი ჯერ არ დაარსებულა. ეს კურსი საჭირო არის პეტაგოგის და მეტოდიკის სწავლისათვის, უმთავრესათ კი იმ ფულეებისათვის, რომელნიც მოსწავლეთ მიენიჭებათ შესრულების შემდეგ. შმაწვილ ქალს სპეციალური კურსით შეუძლია და ნება აქვს მასწავლებლათ იყოს პირველ-დასაწყისის სკოლებში, საქალო გიმნაზიებში, გამართოს საკუთარი სკოლებო და იყოლიოს შაგირდები გასაზრდელად.

„რა ეშველებათ ქალებს, თუ ამ წელს არ დაარსეს მერვე კურსი? სიღარიბე ნებას არ აძლევთ, თილისში დაასრულონ სწავლა. ღარჩებიან წყალ-წაღებულები.

„ღროებაში“ მე-68 ნომერში იყო კორესპონდენცია ერთი ჭუთაისის საქალებო გიმნაზიის მოწავისაგან. ამ კორესპონდენციამ მიიქცია საზოგადო ყურადღება. ამ გვარი გულითადი თხოვნა, რომელიც გამოხატულია ამ ყმარწვილი ქალის ნაწერში, არ უნდა დარჩეს უყურადღებოთ. ეს არის საზოგადო მათი ხმა, ხმა კანონიერი და შესაწყნარებელი.

„ღმერთმა იწებოს, აღსრულდეს მათი იმედი და თავად-აზნაურობამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ჩვენ

მომავალ დედებს, რომლებზედაც დიდი დამოკიდებულება აქვს საზოგადოების და ქვეყნის წარმატებას.“

„დროების“ კორესპონდენცია.

ჭუთაისი, 27 მარტი. „ღაკარგული“ სინილისი უბოვიათ, მაღლობა ღმერთს, სინილისი მოუნახავთ! ის მოდა დღეს როგორც ოლქის სამსჯავროში, ისე საზოგადოებაში. ღღეს გადაწყდა ძლიერ დახლართული, ჩვენის ნეტარ-ხსენებულ აღრინდელ ადვოკატებისაგან, საქმე მიქაძეებსა და ბეიჩიებს შორის, საქმე, რომელმაც ძლიერ შეარყია ერთ-ღროს მაღალ ხარისხზე მდგარი სტუდენტების სახელი. ბავგონებათ ანექლოტი, რომელშიაც იხატება ზნეობითი ძალა ახალ-თაობისა: ბულვარში შეყრილიყვენ ორი გაიძვირა ძველი რაველაციის მკოდენ“ მწერლები და როდესაც ერთმა უთხრა მეორეს, რომ „ეგ ჩვენის მხრით რა პატიოსნება იქნებაო“, მეორემ გაიცინა და უპასუხა: „შე დალოცვილო, პატიოსნება რა ჩვენი საქმეა, ჩვენ მგლებივით დავრბივართ და თუ ვინმე ვიხელეთ, ჩამოვგლეჯთ; პატიოსნება სტუდენტების საქმეა!“

სამწუხაროდ, ეს აღრინდელი კარგი სახელი ჩვენის ნასწავლ ყმაწვილებისა თან-და-თან ირყევა... მრთი არა-უკანასკნელი მიზეზი სტუდენტების სახელის დაცვისისა იყო დღეს გასამართლებული საქმე მიქაძეებისა და ბეიჩიებისა. რადგანაც ამ საქმეს დასაყვლეთს საქართველოში აქვს საზოგადო მნიშვნელობა, ამიტომ მსურს ორიოდე სიტყვით გაგიცნოთ.

მ. მიქაძეები უმახსოვარ ღროილამ ფლობენ თავიანთ მამულს და ტყეს სოფ. შალადითს და სრულიად უღარდელათ სარგებლობენ. მნახოთ ერთ დღეს მოადგება მათ პრისტავი და ბეიჩიებს ჩააბარებს მამულს და ტყეს.

მ. მიქაძეებს უცხადებენ, რომ ეს ახალი რეფორმაა სუდისაო (ის-იყო შემოვიდა რეფორმა). ისინი კვირობენ, თუ როგორ მოხდა ეს; ჩვენ არც კი მიგვიწოდეს, არა გვეკითხეს-რაო, ახირებული რეფორმა ყოფილაო!..

ატყდა ჩხუბი, ალიაქოთი, ისინი არ უშვებენ არც ბეიჩიებს და არც მთავრობას, რომელიც ეწევა სასამართლოს განჩინების ასრულებას. მ. მიქაძეები თითქო სიზმარში იყენენ.

ბოლოს საბრალეებმა გაიგეს, რომ ბეიჩებს, მათს აღრინდელ აზნაურებს, ვილაც შევანიასთვის ვერ დაუმტკიცებიათ თავისი სიმართლე, მომრიგებელ მოსამართლეს მიქაძეების მამული მიუნიჭებია ბეიჩიებისათვის. ამ ფიქტიურმა საჩივარმა დახლართავს საქმე ისრე, რომ ძლიეს 12-ი წლის შემდეგ ჭუთაისის ოლქის სასამართლომ პატიოსნად დაადგინა თავისი განჩინება და ჩააბარა მამული თავიანთ პატრონებს მ. მიქაძეებს.

მ. მიქაძეები დაღარიბდენ, ბეიჩიებმა გარდააყოლეს ამ საქმეს თავიანთი ქონება; ვინ იცინოდენ და იცინიან შუაში? იცინოდენ გამოჩენილი რეფორმის ახლად-შემოღების ღროის ორი ადვოკატები, რომელთაც უკვე დასტოვეს ეს ხელობა, რასაკვირველია, როდესაც კარგათ ჩასუქდენ და იცინის ერთი ახალი ნაფიცი ვექილი, რომელიც თვითონ ერთ ღროს, როცა სხვა მდგომარეობაში იყო, აძაგებდა თავის იმ ორ მოწინავეთ მოქმედებას ამ საქმეში. „ღრონი მეფობენო“.

ღღევანდელს ჩვენი სასამართლოს დადგენილს განჩინებას დიდი ზნეობითი გავლენა ექნება ხალხზე და გასამართლებს კანონმდებლის აზრს სასამართლო წესდებისას, რომელშიაც გამოხატულია სხვათა შორის, რომ სასამართლო ზნეობითი სკოლაც უნდა იყეს ხალხისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ გაიძვირებს, უსაფუძვლო საჩივრების ამტეხებს—ამ განჩინებით ფრთები ჩამოეშვებათ.

X. X.

რაჭა, 26 მარტი. ათი წლის წინეთ სრულებით არაფერი ამბები არ იბეჭდებოდა რაჭაზე. მახსოვს 1869 წელს „სასოფლო ბაზეთში“ დაიბეჭდა ერთი კორესპონდენცია, რომელშიაც იყო მოკლე გეოგრაფიული აწერა ჩვენი მაზრისა; მას აქეთ თანდა-თან იმატა ჩვენში კორესპონდენტების რიცხვმა, ასე რომ ამ ბოლო ღროს წელიწადი არ გაივლის, ათამდის სხვა და სხვა ავტორის სტატიები არ დაიბეჭდონ შესახებ რაჭის ცხოვრებისა ხან ქართულად, ხან რუსულად.

ეს ძრიელ სასიამოვნო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში: აქედგან, ცოტაც არის, მტკიცდება, რომ წერა-კითხვა, გონების განათლება ვრცელდება რაჭაშიაც.

მაგრამ სამწუხაროდ, ამასთანავე არ შემოძლია არა ვსთქვა, რომ ზოგიერთები ისეთს რამეს იწერებინ ხოლმე, რომელიც სიმართლეს სრულებით არ მიემზავსება. როდესაც შევხდები ხოლმე უმზავსოთ და უთავბოლოთ აწერილ ფაქტებს რაჭის ცხოვრებიდან, რომელიც (ვიტყვი თამამად) დაახლოვებით მაქვს გაცნობილი, გული აღარ მომიტმენს და უნებურად ავიღებ ხოლმე კალამს აღსადგენელად სიმართლისა.

ახლაც მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა იმ კორესპონდენციაზე, რომელიც არის დაბეჭდილი ამ წლის 57 №-ში შესახებ მნიღდან სასამართლოს გარდატანისა. მნიში დარჩება სასამართლო, თუ ქვემო რაჭაში გარდაიტანებენ, ეს ჩემთვის სულ ერთია; მაგრამ ბ. პაპის უსაფუძვლო სიტყვებმა მიძულეს დაწერა ამ შენიშნისა, რომელსაც, იმედი მაქვს, ბ. რედაქტორო, მისცემთ ადგილს თქვენს პატივეცემულს გაზეთში.

„შარშან, სწერს ბ. პაპი, როდესაც გავრცელდა ხმა ღაჭყალი-ღაჭყალი-ტანაზედ, თურმე რამოდენიმე პირებმა და ხალხის პატრონებმა შეჰკრეს პირობა, რომ შეჰკრიბონ მცხოვრებლებთაგან ფულები, რომელსაც წარუდგენენ ერთს ვინმე გავლენიან პირს და ამის შემწეობით დაბა დარჩება ისევე თივის ადგილზევე. როგორც ამბობენ, თავის განზრახვა იმათ კიდევაც მოიყვანეს სისრულეში: დანიშნეს ერთი ვინმე ყმაწვილი კაცი მოსაქმეთ, რომელიც ბრძანებს თურმე, რომ ჩემგან შეკრებილი ორი ათასი მანეთი ჩვენი გუბერნიის მარშლის განკარგულებაშიაო. მაგრამ თქვენი მტერი არ იყოს იმ ფულებს თ. ნ. წერეთლის ჯიბემდინ არ მიეღწოს... მნიის ახლო-მახლო მცხოვრებლებში ზემოთ ხსენებულს პირს ხელ-ახლა განუზრახავს განგძობა შარშან დაწყებული მისის სისტემით გარდასახადის მოკრებისა. სამწუხარო იქნება—თუ იმან შესძლო შარშანდელივით ხალხის მოტყუება.“

რასაც ბ. პაპი სწერს, თუ ეს მართალია, დიდი, დიდი პატივის ცემის ღირსი იქნება. ხუმრობა საქმეა ამისთანა ბოროტ-მოქმედების გამოაშკარავება! მაგრამ თუ სიცრუევე გამოდგას ნამბობი, მაშინ რისი ღირსი იქნება ავტორი?

რა წყაროებიდგან შეკრიბეთ, ბ. პაპი, ეს რომ ერთმა ყმაწვილმა კაცმა 2,000 მან. შეაგროვა თ. ნ. წერეთლისთვის და თვითონ კი შეჰკამა? რათ არ აცხადებთ სახელსა და გვარს ამ შესანიშნავი ბოროტი კაცისას, რომელმაც, თქვენის სიტყვით, ერთ ჯერ გაცარცვა ნახევარი მაზრის მცხოვრებლები და მეორეთაც კიდევ აპირებს მათს მოტყუებას? მე არ მეგულება რაჭაში ისეთი მაქცი და მობერებელი კაცი, რომელსაც შეეძლოს ისე ჩუმათ შეაგროვოს თითო-ოროლა აბაზობით, თუ გინდ მანათობით ნახევარი რაჭის მცხოვრებლებიდან 2,000 მან., რომ ამის დამტკიცება ვერ მოახერხოს კაცმა. მაშ რამ შეგაჩერათ, რომ არ გვაჩვენო ვინ არის ის შერცხვენილი კაცი, რომელიც ასე უსინდისოთ სცარცავს ნახევარ მაზრის მცხოვრებლებს და არცხვენს მრთელი გუბერნიის თავიდანაურობის წინამძღოლელს?

არა, ბატონო, მე სხვა ეჭვი მაქვს თქვენზე: თქვენ აღბათ წარმოიდგინეთ, რომ თუმც პირადათ არ შევეხე ვისმეს, თავს არავინ იმართლებსო და მე ტყულების წერა შემრჩებოა, მაგრამ შემძღარხართ.

ჩვენ გირჩევთ გულის წმინდით, როგორც ახალს ლიტერატურის ასპარეზზე გამოსულს კაცს, რომ სიმართლე სწეროთ, თორემ ორჯერ რომ სიმრუდეს შეგნიშნენ, შემდეგ მართალსაც აღარავინ დაგიჯერებს და მალე იძულებული იქნებით ხელი აიღოთ წერაზე.

ახლა მე მოგახსენებთ ნამდვილს ამბავს ფულების მოგროვებაზე და



თუმც რამე სიმრულე შემაჩნდეს, ბ. პაპიმ გაასწოროს.

შარშან, იანვარში, რადესაც გა-  
ერცელდა ხმა დაბა მნიღვან სასა-  
მართლოს და პოლიციის სამმართვე-  
ლოს გარდატანაზე ჭეშმარიტად - რაჭაში,  
შვიდი-რვა კაცი მნიღვან მცხოვრებთა-  
გან შეიკრიბნენ და გარდასწყვიტეს  
პასუხის შეტანა დუბერნატორთან იმ  
ქვემო-რაჭველებსა შეტანილს არზახზე,  
რომლითაც თხოულობდნენ მნიღვან  
სასამართლოს გარდატანას. რადგანაც  
ამ მოთავე კაცებმა დაინახეს საჭი-  
როდ, რომ მათი პასუხი ყოფილიყო  
ხელ-მოწერილი უმეტესი ნაწილის  
ზემო - რაჭის მცხოვრებლებისაგან,  
სთხოვეს ერთს ანაღვანდა კაცს,  
რომ წავლან დაწერილი თხოვნა  
ჩამოეტარებინა სოფლებში და მსურ-  
ველებისათვის ხელი მოეწერინებინა.  
მართლაც, ორი კვირის განმავლობა-  
ში, ამ პირმა, მ. ჯ., შეასრულა ეს  
მონდობილება და 1500 კაცის ხელ-  
მოწერილი ქალაქი მოიტანა მნიღვანში.  
ეს თხოვნა იყო დაწერილი 7 თაბახ-  
ზე.

მ. ჯ.-ს შრომისთვის სრულიად  
არაფერი მიუღია. ამ ქალაქის შე-  
სატანათ აღმოჩნდა საჭიროთ 7 მარკა  
სამ აბაზიანი და რვა მანეთი ფენის  
ქირა იმ პირისთვის, რომელსაც ჰქონ-  
და მინდობილი მუთასში წაღება ამ  
ქალაქდებისა; -სულ 12 მან. და 20  
კ., რომელიც შევარავს თითო-  
ორად აბაზობით, მნიღვანის შეძლებუ-  
ლებმა ვაჭრებმა.

ეს მოხდა, სხვა არაფერი.

ჩსრკეია.

# უცხოეთი

**შვეიცარია.** გამოძიებამ, რომელიც  
დანიშნა შვეიცარიის მმართველობაში  
რუსეთის ემიგრანტების მოქმედებაზედ,  
ვერაფერი საეჭვო ვერ ამოაჩინა ამათ  
შესახებ. ღებებში, რომლებიც ამ  
ემიგრანტებს მიუღიათ და უგზავნიათ  
სხვა-და-სხვა პირებისათვის ამ უკანასკ-  
ნელ დროს არაერთი ამათი გამამ-  
ტყუებელ საბუთებთ არ ჩაითვლე-  
ბიან. სრულიად უსაფუძვლოა ის  
ხვები, რომ ვითომ ამათ აღწევ-  
იციდნენ, თუ პეტერბურგში მოხდე-  
ბოდა 1 მარტს უბედურება, და მონაწი-  
ლეობას იღებდნენ ამ შეთქმულება-  
ში.

მრთს ნემეცურ გაზეთში სწერენ  
ბერნიდან: „ამ რამდენიმე ხნის წი-  
ნათ ციურისში ჰქონიათ სხდომა რე-  
ვოლიუციონერებს; ამ სხდომაზედ  
დასწრებთან 700 წევრამდე; აქ უნდა  
განერჩიათ რევოლიუციონერების უც-  
ხო ქვეყნებში თავის შეფარვის საქმე.  
ამის შესახებ ერთმა წევრმა წარმოს-  
თქვა, რომ მიემართოთ და შეეფარ-  
დოთ დიდებულ რესპუბლიკას ამერი-  
კისასო. ეს ყველას მოსწონებოდა. ამ  
რჩევასვე უმთავრეს მოსალაპარაკებელ  
საგნათ დაედგინა - გაეწიოს წინააღმ-

დეგობა შვეიცარიის ყველა ქურთალ-  
გაზეთებს, რომელნიც გარდაწყვეტილ  
ვერას ამბობდნენ ემიგრანტების თავის-  
შეფარვის შესახებ.

ამ ცოტა ხანში რუსის ქვეყნულ  
ემიგრანტებზედაც ყოფილა დანიშნუ-  
ლი გამოძიება; მაგრამ ჯერ არ შე-  
სრულებულაო. ჩვენებს კიდევ ართ-  
მევენ ამათ. ხმებია, რომ ძალე გაის-  
ტუმრებენ აქედამ ერთ უმთავრეს  
რუსის რევოლიუციონერთაგან თავ-  
პრაპოტკინს.

**ინგლისი.** ირლანდიის „საადგილ-  
მამულო ლიგას“ უკისრია ყველა  
ხარჯი გაზ. „თავისუფლების“ რედაქ-  
ტორის მოსტის დაცვისათვის.

მოსტის თანამოაზრეთ მიუპართავთ  
ინგლისელებისათვის პროკლამაციით,  
რომელშიაც ამტყუებენ ინგლისის  
მმართველობას, რომელმაც უცხო  
ქვეყნულ მტარვალთა ბრძანებით,  
წართვა მათ წინამძღოლი (მოსტი)  
და რომელსაც სურს, დაარღვიოს  
კანონები და წესი, შესახებ უცხო  
ქვეყნულთა თავის შეფარვისა.

**საბერძნეთი.** შევლა წარმომადგე-  
ნელნი უცხო ქვეყნებისა, რომელნიც  
არიან პათინაში, საბერძნეთსა და მსმა-  
ლეთს შუა საქმეების გასარიგებლათ,  
26 მარტს მისულან მინისტრთან ქუ-  
მუნდურთან, რადგანაც მოლაპარა-  
კება შეუსრულებიათ და წაუკითხავთ  
თავიანთი გარდაწყვეტილება ამისა-  
თვის. ბარდაწყვეტილებაში სწერიაო,  
რომ უკანასკნელ მსმალეთის წინა-  
დადებაზედ ყველანი დათანხმებულან  
და ეხლა იმედი აქვთ, რომ საბერძ-  
ნეთიც მიიღებს ამ პირობებსაო. წი-  
ნააღმდეგ შემთხვევაში, მეროპის სა-  
ხელმწიფოები უარს ეტყვიან საბერძ-  
ნეთს ყოველ გვარ დახმარებაზედ მო-  
მავლისათვის. ქუმუნდურს მიუგია  
წარმომადგენელთათვის, რომ ის გარ-  
დახედავს ამ გარდაწყვეტილებას და  
უკანასკნელ პასუხს აცნობებს მათ.  
ამბობენ, რომ ქუმუნდურს ამ პი-  
რობების განხილვის შემდეგ, საშა-  
ხურიდამ დათხოვის ქალაქი შეუტა-  
ნია.

# სამართალი

**ხელმწიფის მკვლელების საქმე.**  
სენატის სასამართლო  
(სხდომა 26 მარტს, საღამოს \*)

თავსმჯდომარე (რისაკოვს). ბრალ-  
დებულო რისაკოვ, თქვენ გედებათ  
ბრალი, რომ ეკუთვნოდით საიღუმ-  
ლო საზოგადოებას, რომელსაც ჰქვია  
რუსის სოციალ-რევოლიუციური სა-  
ზოგადოება და რომლის მიზანი არის  
ძალადობით დაარღვიოს ახლანდელი  
სახელმწიფო წყობილობა რუსეთისა  
და ამ განზრახვით თქვენ აქ მყოფ  
ბრალდებულებთან ერთად მოინდო-

\*) „დრკება“, № 73.

მით ხელმწიფე იმპერატორის მოკვლა;  
გაიყვანეთ პატარა ბალის ქუჩის ქვეშ  
ხელმწიფის ასაფეთქად თხრილი და  
ამას გარდა 1 მარტს თქვენ პირველმა  
ესროლეთ ხელმწიფის კარეტას ასა-  
ფეთქი ყუმბარა; - დანაშავედ აღია-  
რებთ ყველა ამაში თქვენ თავს, თუ  
არა?

რისაკოვი. იმაში, რომ მე ვე-  
კუთვნოდე რუსის სოციალ-რევო-  
ლიუციურ პარტიას ჩემ თავს დანა-  
შავედ არ ვაღიარებ. 1 მარტის საქ-  
მეში კი დანაშავედ ვარ.

თავსმჯდომარე. რადგან თქვენვე გა-  
მოტყუდით, რომ 1 მარტის საქმეში  
დანაშავედ ხართ, თუ შეიძლება ისიც  
ავიხსენით - რა განსხვავებაა იმ პარ-  
ტიას შუა, რომელსაც თქვენ ეკუთ-  
ვით და იმ პარტიასა, რომლის  
მომხრეობაზედ უარს ამბობთ?

რისაკოვი. თავიდანვე უნდა ვსთქვა,  
რომ მე თანაფუგრძობ იმ სოციალ-  
რევოლიუციურ მოძრაობას, რომე-  
ლიც ამ ათის წლის წინათ დაიწყო  
რუსეთში. მაგრამ ამასთანავე ისიც  
უნდა ვსთქვა, რომ არის ორი პარ-  
ტია: „ნარდნაია ვოლასია“ (გაზეთის  
„ხალხის ნების“) და მეორე „ჩოროგო-  
პეტრეჯელა“ (მიწა-წყლის მფლობელო-  
ბის გარდაკეთება). მე ვარ „ხალხის  
ნების“ პარტიას არ ვეკუთვნი, ვარ  
წმინდა სოციალისტი და რევოლიუ-  
ციურ ბრძოლას არ ვკისრულობ; მე  
ვეკუთვნი „ჩორონი პეტრედლის“ პარ-  
ტიას. შარშან ზაფხულს მე ჩემის  
თვალით დაერწმუნდი თუ რა უბედუ-  
რია და რა ვაჭირებულება ჩემი სოფ-  
ლის ხალხსა. ამ დროსვე მე ვავიციანი  
შელიაბოვი, რომელიც დამპირდა,  
რომ ხალხში მოქმედებისათვის უფრო  
ერცელ ასპარეზს აღმოგიჩინო; იმან  
გამაცნო მუშები. თუ არ ვსცდები,  
ტერორის პარტია იმისივე დაწესებუ-  
ლია. შემდეგ შელიაბოვიმე გამიძღაფ-  
ნა, რომ „პლემსარულეველ კამიტეტ-  
მა“ ხელმწიფის მოკვლა განიზრახაო.  
ხელმწიფის მოკვლა შელიაბოვი პირ-  
ველად მრმოლინის სადგომში, ტროიც-  
კის ქუჩაზე, წარმოსთქვა; შემდეგ  
რამდენჯერმე შეიკრიბნენთ ტელეფ-  
ნის ქუჩაზე, ბელჭმანის სადგომში.  
აქ გარდაწყვეთ იყო ამაზე სჯა;  
აბალჩიჩმა წაგვიკითხა აქ ლექცია  
ასაფეთქ მასალებზე.

(შემდეგ, საკუთრივ ხელმწიფის  
მოკვლის შესახებ, რისაკოვმა განი-  
მეორა ის, რაც საქმის გარემოებიდან  
უკვე ვიცით).

თავსმჯდომარე ჰკითხა იგივე მეორე  
ბრალდებულს ტიმოფეი მიხაილოვს:  
ამა-და-ამას გაბრალებენ და დანაშა-  
ვედ აღიარებ შენს თავს, თუ არაო?

ტიმ. მიხაილოვი. მე ვაღიარებ მხო-  
ლოთ იმას, რომ „რუსის სოციალ-  
რევოლიუციის“ პარტიას ვეკუთვნი,  
იმ პარტიას, რომელსაც მუშა-ხალხის  
მდგომარეობის გაუმჯობესობა აქვს  
მიზნად. მე თვითონ უბრალო კაცი  
ვარ და ვიცი - რა მდგომარეობაშია,  
რა ვაჭირებაშია ჩემი მდაბიო ხალხი.  
ქიდევ ვაღიარებ დანაშაულს იმაში,  
რომ, დაქერის დროს, წინააღმდეგ-


ბა გაუწიე პოლიციას და განდარმებს,  
არ მინდოდა მუქთაღ დაძაბნა - ჩემი  
თავი. რაც შეეხება 1. მარტის საქმეს  
ამ საქმეში მე არაერთი მონა-  
წილეობა არ მიმიღია. უნდა მოგახ-  
სენოთ - თუ რამ მაიძულა მე სო-  
ციალ-რევოლიუციის პარტიის მიმ-  
ხრობა...

აქ ტ. მიხაილოვი მოჰყვა თავის  
ცხოვრების აღწერას ყმაწვილობიდან-  
ვე, სთქვა - თუ რამდენი ვაჭირება  
უნახავს იმას გლეხებისა, რამდენი  
მძიმე გადასახადი აწევთ გლეხებს კი-  
სერზე, სად იხარჯება ამათგან შემო-  
სული ფული, როგორ მუშა-ხალხის  
შრომითა და ოფლით მდიდრდებიან  
ფაბრიკანტები და ვაჭრები და თვი-  
თონ მშრომელნი კი პირ-ლია და  
ლატაკად რჩებიან და სხვ. აი ამ ხალ-  
ხის მდგომარეობის გაუკეთესება იყო  
ჩემი განზრახვაო, სთქვა ბოლოს  
მიხაილოვმა.

თავსმჯდომარე მესა ბელჭმანის  
ქალს მიმართა და უთხრა - რასაც აბ-  
რალებენ იმას და დანაშავედ აღია-  
რებს თავის თავს, თუ არა?

ბელჭმანისა. მალეიარებ, რომ სო-  
ციალ-რევოლიუციის პარტიას ვეკუთ-  
ვნი და მონაწილეობასაც ვიღებდი ამ  
პარტიის საქმეში. მართალია, ჩემს  
სადგომზე იყო ბრალდებულთა კრე-  
ბები, მაგრამ მე ამ კრებებში მონა-  
წილეობა არ მიმიღია.

გაბალჩიჩმა თავსმჯდომარის კითხვა-  
ზე დალაგებით ილაპარაკა იმაზე - თუ  
რა მიზანი ჰქონდა გაზ. „ხალხის ნების“  
პარტიას და აჩვენა მიზეზი - თუ რა-  
ტომ დაადგა ეს პარტია ამისთანა ძა-  
ლადობის, ტერორის გზას. „1874 -  
1875 წლებში მომეტებული ნაწილი  
რუსის რევოლიუციონერებისა “ ხალ-  
ხში მიდიოდნენ და უქადაგებდნენ  
იმას. მიზანი ამ ყმაწვილ-კაცებისა  
იყო, ზნეობით და გონებით ამაღლე-  
ბა ხალხისა იმდენათ, რომ იმათ შეს-  
ძლებოდათ თავის ვაჭირებიდამ თვი-  
თონვე დაეხწიათ თავი. მე და ბევრი  
სხვებიც დაგვიჭირეს მაშინ ამ განზრ-  
ხვისთვის. მთავრობა რომ უფრო  
გონიერად მოქცეულიყო და სასტი-  
კად არ მოქცეოდა იმ პარტიას, ახლა  
რაც სისხლის-ღვრა მოხდებოდა და  
არც აჯანყება; ხელმწიფის-მკვლელები  
არ იქნებოდნენ ახლა თქვენ წინ-  
განსასამართლებლად. ის ჰკუა და  
გონება, რომელიც მე ასეფეთქ მასა-  
ლების მოგონებას მოვანდომე, მა-  
შინ სამეტურნეო იარაღების გაუმჯობე-  
სობას ან სხვა ამგვარ რასმე მოვან-  
მებდი. მაგრამ რაკი მთავრობამ ჩემი  
ამოწყვეტა განიზრახა, ჩვენც სხვა  
გზას დავადგით: ტერორს, ძალადო-  
ბას. ამ განზრახვით მე შეუდევი ასა-  
ფეთქ იარაღების შესწავლას; რაც  
რამ დაწერილა, ამ საგნის შესახებ,  
ინგლისურს, ფრანგულს და ნემე-  
ცურს ვნახე, სულ წაფიკითხე, კარ-  
გათ შევისწავლე და ამ მხრით ვეს-  
მარებოდი პარტიას. მე დავაშადე  
ის დინამიტი, რომლითაც შარშან 5 თე  
ბერვალს სასახლის აფეთქება უნდა მო-  
ხდარიყო; მივიღე აგრეთვე მონაწილ-



ობა მდებსის, ალექსანდროვის და მოსკოვის მახლობლად რომ რკინის გზას აფეთქებას უპირებდნენ ხელმწიფეს. მე ვამზადებდი ასაფეთქ მა-

სალებს. თავსმჯდ. იცოდით კი — რისთვის ხმარობდნენ თქვენი ამხანაგები იმ მასალებს?

გებადნენ. რასაკვირველია, ვიცოდით. მაგრამ ის კი არ ვიცოდი — თუ რა გეარად, სად და რა დროს ამზადებდნენ ისინი აფეთქებას. მაგალითად, პატარა ბალის ქუჩის ქვეშ რომ თხრილი გაიყვანეს იმის ლაღში ჩემი დამზადებული იყო, მაგრამ თვითონ ამოთხრაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია.

სოფია შეროვსკისა. ვაღვიარებ, რომ გახ. „ხალხის ნების“ პარტიისა და „მლ-მასრულებელ კომიტეტის“ წევრი ვიყავი. „ხალხის ნების“ პარტიის მიმართულების ასახსნელად საჭიროდ ვრაცხ გითხრათ, რომ ამ პარტიას სრულებით არა აქვს აზრად, რომ რომელიმე მმართველობა ანუ დაწესებულება ძალ-დატანებით მიიღებინოს, შეათვისებინოს ხალხსა; ამ პარტიის აზრით, ხალხი თვითონ ამოიჩინოს თავისთვის თავის მმართველობას და თავის საზოგადო დაწესებულებას. რაიცა შეეხება 1 მარტის საქმის გარემოებას, ყველაფერი, რაც ჩემ შესახებ ითქვა აქ, მართალია. მე მივიღე მონაწილეობა აგრეთვე იმ შეთქმულებაში, როდესაც 19 ნოემბერს უნდოდით იმპერატორის პოეზის აფეთქება მოსკოვის რკინის გზაზე.

(გაგრძელება შემდეგ №-ში.)


### განსხალებანი

სწავლა გამომჟრისა და შიშვერისა, ახალი ხელოვნებით დასახვის სუამხაველობით.

იქვე მიიღებენ ქალების და ემაწვილების ტანისამოსის შეკერვას, ზომის აღებას და გა მოჭრას; ისეიღება ახალ მოდის სახენი გამოჭრილებისა შეპირებული ზომისა და დაწვობენ ჰლისეს მაშინაზედ. აგრეთვე აწვავლიან შეუძლებელ-უმაწილ ქალთა, რომლის ჰინობაც შეიძლება შეიტყოთ კუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაში № 87. (10—1)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაასრულებს ნამდვილი ჩაი-გასასყიდელად შირველი შოკრეფისა და საუკეთესო ინგლისური საქანლისა; მაგალითებ: თოფებისა, რეგულაჟებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ყოვლებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საშინი-

სა, შიშვერისა, ცხვირ-სასრცისა, ქადადისა, კარანდაშებისა, კაღებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშკევისი ზეთისა) და სხვ. სააკურთ მანტოების მოსახურებებს გასასყიდელად განაწესებენ და პატრონის და გამ. მუშებისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნოტინგამიდა. ნამდვილი ჭკანას ივარები. (100—49)



ბული შაბალი ნაოფლარისა, რომელიც (საოფლარი) სიფისაგან განსდება სოღმე, განსაკუთრებით სშირათ ფისის თითებს შუა,

### გალმანი (Гальманинъ)

ისეიდეა აუთიაქებში და აუთიაკის წამლების მადანიაში კერძის ვეფას დიდ ქაღაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ჭარმაკის მაგისტრის გ. კანზინსკის აუთიაკის ქ. ვარშავში, ელექტრადის ქუჩაზე № 35. დიდი კარობგა გაღმანისა ვარშავში 50 კ. დინს, შატარა — 30 კაზ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გაღმანისი არ შექმნატყუონ და ითხოვთ რომ კარობგანთან იყოს: ახსნა როგორ უნდა ისმართ წამლი და შედგა შარეთის მსოფლიო გამაფენისა. (20—2) კ. კანზინსკი.

ინკლისის მადანიაში

თისანო-სარეფანი გამა-ტყრი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაზ. აქვე ისეიდეა ქინის ზომდა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სოტკებში თავის ტკივილის მოსასზობლად, ტუპ-ლეტის საშინი, დუხები და სხვ. (150—57)

### ბეზრი კრამტი

შოდნოსები, კლიტები, კალმები, ქალღლები, თოფები, რეგოლეერები, სტაქები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისეიღება ინგლისის მადანიაში.

იქვე: პალტო 12 მან — დამ, შარველები 4 მან — დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, პინტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ. — 2 მან. (უმშვენიერესი) გირე. უქალღლოთ. მართი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—18)

განჩაროვის ქალის მადანიაში, განოვის ქუჩაზედ სოღოლაკში მიღებულია მრავალი გულისშირები და თავსაკრავები. (5—5)

## თვილისის თავად-აზნაურთა სააღგილ-გაგულო განკისგამ-გეობისაგან

თვილისის თავად-აზნაურთა სააღგილ-გაგულო განკისგამგეობა ამით აცხადებს, რომ ქვემო-მოხსენებულ პირთა ბანკში დაგირაგებული უძრავი მამულები, ბანკის წესდების § 15 თანახმად, დანიშნული არიან გასასყიდლად, რადგან ამ მამულების პატრონებს თავის დროზე არ შემოაუტანიათ ბანკში წესდებით დადგენილი გადასახადი ფული (თავნი და სარგებელი).

მამული აღარ გაისყიდება, თუ იმის პატრონი ხვედრ ფულს შექმოიტანს.

სასელი, მამის სასელი და გვარი მამულის მუპატრონისა.	რა გვარი მამულია?	სად მდებარებს მამული?
უუკ, პორფირ თამას-ძე.	მრ-სართულიანი ქვითკირის სახლი, თან ეზო და ადგილი 56 საფ. და 6 1/2 ოთხ-კუთხი ადლი.	1 განყოფილების 1 უჩასტკაში, თვილისში, არსენალის ქუჩ.
მდივანოვი, ივგორ დავითის-ძე.	მრ-სართულიანი ქვითკ. სახლი, ადგილი 74 ოთხ-კუთხი საფ.	1 განყოფ. 6 უჩასტ. თფ., № 256.
არეშოვი, ნიკოლოზ სიმონის-ძე.	მრ-სართულ. ქვითკ. სახლი, ადგილი 26 საფ. და 6 ოთხ-კუთხი ადლი.	1 განყოფ 5. უჩასტ. თვილისში.
ენისთავისა, ივლიტ-ღმიტრის ასული.	მრ-სართულიანი ქვითკ. სახლი, თან ადგილი 510 ოთხ-კუთხი საფ.	მ. ბორში, მთავარს ქუჩაზე.
აღენიკოვისა, სალომე ივგორის ასული.	მრ-სართ. ქვითკ. სახლი ორ-სართ. ქვითკ. ფლიგელით, ადგილი 88 საფ. და 1 1/2 ოთხ-კუთ. ადლი.	1 განყოფ. 1 უჩასტ. თფ., დავიდოვის ქუჩ.
სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული.	ა) ერთ-სართულიანი ქვითკ. დუქანი, ბ) ორი სამ-სართ. ქვითკ. დუქანი, ორი ორ-სართ. ქვითკ. დუქანი და ბ) თერთმეტი ერთ-სართ. ქვითკ. დუქანი, ადგილი 276 ოთხ-კუთხი საფენი.	მ. თვილისში: ა) 1 განყოფ. 7 უჩასტ. და ბ) 2 განყოფ. 14 უჩასტკა, ჩუღურეთში.
სლინკო, ანნა ივანეს ასული.	მრ-სართულ. ქვითკირ. სახლი, ადგილი 111 1/2 ოთხ-კუთხ. საფ.	2 განყოფ. 11 უჩასტ. თფ. მლისავეტის ქუჩ.
გაბუნია, მერაბ ივგორის-ძე.	მრ-სართულ. სახლი დუქნებით, ადგილი 125 ოთხ-კუთ. საფ.	მ. ბორში.
შირუმივი, არშაკ მღანგზას ძე.	მრ-სართულ. სახლი და ორიც ერთ-სართულ. სახლი, ადგილი 241 1/2 საფ.	2 განყოფილებ. 14 უჩასტკა, თფ., ჰაელა-ბარში.
ზანაფოვი, სტეფანე ივგორის-ძე.	ა) სამ-სართულ. ქვითკ. სახლი სამ-სართულიანივე ქვითკ. ფლიგელით და ბ) ორ-სართულ. სახლი თავის სარდაფით, ადგილი 279 1/2 ოთხ-კუთხი საფ.	2 განყოფილებ. 10 უჩასტკაში, თფ. შორონკოვის წყლის-ნაპირა ქუჩაზე.
ზაზიკვი, დავით პოპის-ძე.	მრ-სართულ. სახლი დუქნით და ადგილით 27 1/10 ოთხ-კუთ საფ.	1 განყოფ. 1 უჩასტ. თფ., დავიდოვის ქუჩ
დავიდოვი, გეო დავითის-ძე.	მრ-სართულანი. ქვითკირის სახლი ადგილი 50 საფ.	1 განყოფ., თფ., შსახელო ქუჩაზე.
ზაფლიკვი, იაკობ სიმონის-ძე.	მრ-სართულ. ქვითკ. სახლი, ადგილი 72 ოთხ-კუთ საფ. სამ-სართულ. ქვითკ. სახლი, თავის ფლიგელით და შენობებით, ადგილი 313 1/2 ოთხ-კუთხ ს.	1 განყოფ., 5 უჩასტ. თფ., ნემეცების ქუჩ. 1 განყოფ. 1 მიხაილოვის უჩასტ., თფ.
სლინკო, მკატერინე ივანეს ასული.	ა) ერთ-სართ ქვითკ. სახლი და ბ) ორ-სართულ. ქვითკ. სახლი ორ-სართ. ქვითკ. ფლიგელით და შენობებით, ადგილი 196 ოთხ-კუთხ საფ.	მ. ახალ-ციხეს, ახალს უბანში.
ყაღამჭაროვი, ბრიგორ ნაზარეტის-ძე.	მრ-სართულ. სახლი ორი სამ-სართულიანივე ფლიგელით, ადგილი 156 ოთხ-კუთ. საფ. 7 ადგილი.	1 განყოფ. 6 უჩ., თფ. ნორაშნ. და აზნ. ქ. კ.
ფუდინოვი, ისაკ ნიკიტის-ძე.	სარეილი მიწა 300 ოთხ-კუთ. საფ.	2 განყოფ. 11 უჩასტ. თვილისში.
ცაიციშვილი, დავით ივანეს-ძე.	სახნავ-სათესი და სათიბი მიწები და ტყე სივრცით 669 დენიაციინა და 180 ოთხ-კუთხ საფ.	თფ. გუბ. თიონეთის მახრაში, საჭავევა-ძოში და ალოთში.
ჭავჭავაძეები, ნიკოლოზ და მიხეილ ზურაბის-ძენი.	სახნავ-სათესი, სათიბი და საბალახე ადგილები, 548 დენიაციინა და 1837 ოთხ-კუთხ საფ.	თფ. გუბ. და თფ. უეზლ., სოფ. შიჩიკში.
ნაზარეტოვი, სოლომონ ბრიგორის-ძე.		

(შემდეგი იქნება)